თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5381025

ნომერი: AR1818118

თარიღი : 16.04.2021

გაცემის თარიღი : 23.04.2021

გაცნობის თარიღი : 26.04.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შენგელია , (შენგელაია) , N 40;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლექსო კაპანაძე პ/ნ 01019088450
- თბილისი ნ.შენგელაიას ქ. N 42ა

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი NAR1818118 ელექტრონული განაცხადი, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ 2021 წლის 21 აპრილის N5375773 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, სექტორი-ნაძალადევი, შენგელიას ქ. (შენგელაია) №40-ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე დადასტურდა არსებულ შენობაზე ავარიული კიბის გამაგრებითი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2021 წლის 22 აპრილის NAR1822770 განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე ნინა სუხანოვამ და მოითოვა ქ. თბილისში, N01.12.09.001.013 საკადასტრო ერთეულზე კიბის უჯრედის კორექტირების დადასტურების შესაძლებლობა, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამსახური წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge